ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2480688

ნომერი: AR1380824

თარიღი : 26.02.2016

გაცემის თარიღი : 22.03.2016

გაცნობის თარიღი : 22.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით მახათაძე პ/ნ 01025005347
- დიდი დიღომი, მ/რ4 კორ.12, ბ.50

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის #1052652 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016

წლის 26 თებერვალს #AR1380824 განცხადებით მომართა დავით მახათაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის #1052652 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის #1052652 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფ დიღომში, შპს „ALPHA COMPANY“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.72.14.038.034), დამხმარე ნაგებობის (საწყობი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 21 დეკემბრიდან 2014 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულია მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში.

სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის #1052652 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „ALPHA COMPANY“. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882013301131; მომზადების თარიღი: 03/07/2013 წ.; საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.034) მიხედვით, საპროექტო ობიექტის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ALPHA COMPANY“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B14088155,; მომზადების თარიღი: 08/09/2014 წ.; ს/კ: #400090860) თანახმად, შპს „ALPHA COMPANY“–ს დირექტორებს წარმოადგენენ ნაეიმ ელდაბაა საიდ გირგის და ფავზი ელდაბა საიდ გირგის. სამსახურში წარმოდგენილ იქნა ნაეიმ ელდაბაა საიდ გირგის მიერ გაცემული 2016 წლის 05 თებერვლის #03–2016 მინდობილობა, რომლითაც იგი უფლებამოსილებას ანიჭებს დავით მახათაძეს შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია კომპანიის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.72.14.038.034) უკვე შეთანხმებული პროექტის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამასთან, 2013 წლის 31 მაისის წესდების 4.1 პუნქტის თანახმად, ორივე დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს ცალ–ცალკე ერთპიროვნულად.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის #1052652 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან მესაკუთრეს აღარ აქვს აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების ინტერესი. სამსახურში წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე ნაწარმოები არ არის სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის შესაბამისად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

შესაბამისად, ვინაიდან ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე მესაკუთრეს აღარ აქვს სამშენებლო სამუშაოების წარმოების ინტერესი და ამასთან, საპროექტო ობიექტზე ნაწარმოები არ არის სამშენებლო სამუშაოები, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის #1052652 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე – დავით მახათაძის 2016 წლის 26 თებერვლის #AR1380824 განცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბრის #1052652 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.